# ცნობის ფურცელი

V წ. ყოველდღიური გამოცემა კვირა-უქმეების შემდეგაც.— ოთხშაბათი, 22 მარტი 1900 წ. № 1079

**გაზეთის ფასი:** წლიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

**რედაქცია** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლი № 27.—ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე. (შუადღით).

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цновисъ-Пурцели“—„Моамбе“.

ტელეფონი № 372.



საუკეთესოდ მოწყობილი

სტამბა

წიგნების გამომც. ქართველთა ამხ—ბისა

იღებს ყოველგვარ

სასტამბო საქმეებს

სტამბა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლში

## სახალხო სეირნობა
### საქველმოქმედო ბაზრითურთ

«ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების» სასარგებლოდ განზრახულია გაიმართოს მაისში. შემოწირულებათა წარმოგზავნა ამ ბაზრისათვის შეიძლება კნ. ოლღა თადეოზის ასულს ჭავჭავაძისთან, ნიკოლოოზის ქუჩა, № 21. (ნ. 0—16)

წარსული წლების ჟურნალი „მოამბე“ გაიყიდება შემდეგ ფასებად: 1894 და 1895 წ. წ.—შვიდ-შვიდ მანეთად და 1896, 1897 და 1898 წ. წ.—ხუთ-ხუთ მანეთად. ხოლო 1899 წ. «მოამბე» 1900 წ. ხელის მომწერთათვის ეღირება ხუთი მანეთი.

ქალაქ გარეშე მცხოვრებთ თითო წლის ჟურნ. «მოამბის» ფოსტის ხარჯათ 60 კაპ. უნდა გამოგზავნონ. ჟურნ. „მოამბის“ ადრესი: Тифлисъ, въ редакцію журнала „Моамбе“.

ქართ. შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ა. ს. როინაშვილის მიერ ნაანდერძევი

## ფოტოგრაფია

გადატანილ იქმნა ერევნის მოედანზედ, ხარაზოვის სახლში. (ნ. 0—33)


### მთავრობის განკარგულებანი

მიწის-მზომელთა ტფილისი სასწავლებლის კურს დამთავრებული ჩიჯავაძე დაინიშნა ტოპოგრაფად ურალის სახაზინო სამთო ქარხნებში.

სოხუმის ფოსტა-ტელეგრაფის კონტორის უფროსის თანაშემწე ბადგ. სოვ. ძლენტი დაინიშნა ნახიჩევანის ფოსტა-ტელეგრაფის კონტორის უფროსად.

## ახალი ამბავი

✦ მკითხველებს ეხსომებათ, რომ მთავრობას განზრახვა ჰქონდა ჩვენშიაც შემოეღო სადგომის სახელმწიფო გადასახადი (государственный квартирный налогъ). ეხლა, როგორც ისმის, გადაწყვეტილია ამ გადასახადის შემოღება კავკასიაში გადიდეს იმ დრომდე, სანამ გადასინჯული იქმნება 1893 წლის დებულება ამ გადასახადის შესახებ.

✦ ამიერკავკასიის ქალაქები გალდებულნი არიან თავის ხარჯით გაანათონ და გაათბონ ხოლმე საპყრობილეები. ეს ბეგარა რუსეთის დანარჩენ ადგილებში აღარ არსებობს; როგორც ისმის, მთავრობას განზრახვა აქვს ჩვენშიაც მოსპოს ქალაქების ხსენებული ვალდებულება და სახელმწიფო ხარჯით გაანათოს და გაათბოს საპყრობილეები.

✦ როგორც ისმის, ამიერკავკასიის რკინის გზების მატარებელთა მოძრაობის უფროსი იზმაილოვი სხვა ადგილას გადაჰყავთ.

✦ ამიერკავკასიის რკინის გზების მმართველობას დაუდგენია გაჰყოს გზები 14 ნაწილად, რომელთ უფროსებს ბინა ექმნებათ შემდეგ სადგურებზე: 1 განყოფილების ინჟ. მ. ი. რუსსიანი—ბათუმში; 2 განყოფ.—ინჟ. ს. ს. ხუგინსკი—ფოთში; 3 განყოფ.—ინჟ. ი. ე. პაელოვსკი—ქუთაისში; 4 განყოფ.—ინჟ. მ. ი. ოჰანეზოვი—შორაპანში; 5 განყოფ.—ინჟ. გ. ა. მუატი—ხაშურში; 6 განყოფ.—მ. ვ. კარპოვიჩი—ტფილისში; 7 განყოფ.—ინჟ. ა. ს. ვილკუტატისი—აქსტაფაში; 8 განყოფ.—ინჟ. ი. ი. კოგნოეიცკი—განჯაში; 9 განყოფ.—ინჟ. ა. ი. ტრომპეტერი—ქურდამირში; 10 განყოფ.—იუსუპ-ხან-მაჰმედ ბეკოვი—ალიათში; 11 განყოფ.—ინჟ. ს. ი. კრაკოვსკი—ბაქოში; 12 განყოფ.—ინჟ. ი. ვ. ლიბკე—ტფილისში; 13 განყოფ.—ინჟ. თავ. გ. პ. თუმანიშვილი—კარაკლისში და 14 განყოფ.—ინჟ. ლ. ი. პროხასკო—ყარსში.

✦ წმ. ნინოს თელავის საქველმოქმედო საზოგადოების შუამდგომლობა აღუძრავს იმის შესახებ, რომ თელავის ქალთა სასწავლებლის გასაფართოებლად დაეთმოს საზოგადოებას სახაზინო მიწის ნაჭერი, რომელიც იქვე, სასწავლებელთან არის. ამ ადგილ ზე საზოგადოება ჰფიქრობს საავადმყოფოს გადატანას. ამ ჟამად საავადმყოფო ძველ შენობაშია მოქცეული და მეტად ავიწროებს თვით სასწავლებელს.

✦ 29 ამ თვეს სრულდება 50 წელიწადი მას შემდეგ, რაც დაარსებულ იქმნა კავკასიის სამეურნეო საზოგადოება. საზოგადოება დაარსა 1850 წელს მაშინდელმა მთავარ-მართებელმა თავ. მ. ს. ვორონცოვმა.

✦ ეპარქიალურ სასწავლებელთა ზედამხედველი ნ. გ. ტატიშვილი გაემგზავრა გორის მაზრაში სამრევლო-საეკკლესიო სკოლების სარევიზიოდ.

✦ სათანადო მთავრობას განუმზადებია პარიზის გამოფენაზე გასაგზავნად სტატისტიკური ცნობები რუსეთში საერო განათლების მდგომარეობის შესახებ. ამ ცნობებიდან სჩანს: ამ ჟამად რუსეთში 1900 სამოქალაქო, სამაზრო (სამკლასიანი) და სამრევლო ორკლასიანი სასწავლებელია; 80 ათასი პირველ-დაწყებით საქალაქო, სასოფლო და ერთკლასიანი სამრევლო სკოლებია 4 მილიონი მოსწავლეებით; 191 სავაჟო გიმნაზიებია; 53—პროგიმნაზიები; 115 რეალური სასწავლებელი; ქალთა გიმნაზიები და პროგიმნაზიები—468 და 30 საშუალო სამხედრო სასწავლებელია.

✦ „კასპის“ სიტყვით, ძმათა ზუბალაშვილთა სავაჭრო სახლი ჰყიდის ნავთის წყაროებს, რომელნიც მას ეკუთვნის ბაქოში. მყიდველნი ინგლისელები არიან და აძლევენ ზუბალაშვილთ 18 მილიონ მანეთს.

✦ საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იქმნას გაუმჯობესებული საექიმო ნაწილი ფაბრიკებსა და ქარხნებში, მიენდობა განსახილველად საგანგებო კომისიას სავაჭრო და სამანუფაქტურო დეპარტამენტთან.

✦ ახალციხესა და ალექსანდრეპოლს შუა წესიერი მიმოსვლა, რომელიც მთელის ზამთრით შეწყვეტილი იყო დიდის თოვლისა გამო, ეხლა აღდგენილ იქმნა სრულიად.

✦ ტყვიბულის მცხოვრებთ (ქუთ. მაზრა) შუამდგომლობა აღუძრავთ სათანადო მთავრობის წინაშე, რომ დაარსებულ იქმნას ტყვიბულში ფოსტა-ტელეგრაფის კონტორა. როგორც ისმის, მმართველობას განზრახვა აქვს შეიწყნაროს ტყვიბულელთა თხოვნა.

✦ რადგანაც რუსეთში უკანასკნელ წლებში ვაჭრობასა და

მრეწველობას მეტი სიცოცხლე ეტყობა, მთავრობას განუზრახავს დაარსოს ფინანსთა მინისტრის მესამე თანაშემწეს ადგილი.

14 მარტს საიმპერატორო სამინერალოგიო საზოგადოების წევრთა კრებაზე პეტერბურგში პროფესორმა ვ. ვ. დოკუჩაევმა წაიკითხა მოხსენება „კავკასიის ნიადაგთა გამოკვლევის შესახებ". პროფესორი 1898 და 1899 წლებს მოგზაურობდა კავკასიაში და იკვლევდა მეცნიერულად ნიადაგს. ვ. ვ. დოკუჩაევს შეუდგენია სხემატიური რუკა კავკასიის ნიადაგებისა.

## ტფილისის თავად-აზნაურთა კრება

გუშინდელი კრება თავად-აზნაურთა დაიწყო ი. ბ. საგინაშვილის თავმჯდომარეობით დილის 11½ საათზე.

თავმჯდომარემ მოახსენა კრებას, რომ ამას წინად თავ. ი. გ. ამილახვარმა წარუდგინა თავად-აზნაურობის კრებას შემდეგი დაკითხვა: ტფილისის ვაჟთა 1-ლ გიმნაზიაში, უმაღლესის ბრძანებისა გამო, უნდა სწავლობდეს თავად-აზნაურთა 30 ბავშვი სახელმწიფო ხარჯით; ხოლო როგორც მას, თავ. ამილახვარს, შეუტყვია, გიმნაზიაში იზრდება სულ 25 ბავშვი. ამ დაკითხვაზე თავად-აზნაურობას მოუვიდა პასუხი კავკასიის სამოსწავლო ოლქიდან, რომელშიაც ახსნილია, რომ გიმნაზიაში იზრდება 25 ყმაწვილი, მაგრამ დანარჩენს ხუთს ფულად ეძლევა და ისინი სხვაგან სწავლობენ თავისავე მშობლების თხოვნით. კრებას მოხსენდა შემდეგი წინადადება: ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისთვის რწმუნებულთა არჩევანი მოხდა შარშან თავად-აზნაურთა საგანგებო კრებაზე. რწმუნებულნი არჩეულ იქმნენ სამის წლით, ესე იგი, 1902 წლამდე. შემდეგი მორიგი კრება თავად-აზნაურთა კი მოხდება 1903 წელს. ორჯერ რომ არ დასჭირდეს თავად-აზნაურთ ტფილისში ჩამოსვლა, ამიტომ წინადადება ამბობს, ვითხოვოთ სადაც ჯერ არს, რომ რწმუნებულთა არჩევანნი გადადებულ იქმნან 1903 წლამდე. ამ წინადადებამ ბევრი ლაპარაკი გამოიწვია: ზოგი ამბობდა — კანონის შეცვლა, არც თხოვნის აღძრა, საჭირო არ არის; ჩვენ თითონ გვაქვს ნება ერთის წლით განვაგრძოთ არჩეულთა უფლებანიო, ზოგი ამტკიცებდა, აუცილებლად საჭიროა ვითხოვოთ ნება, რომ არჩევანნი ერთის წლით გადიდვასო.

გ. დ. ჟურულმა კი ის აზრი გამოსთქვა, რომ თავად-აზნაურობა კმაყოფილიც უნდა იყოს შემთხვევით, რომელიც აძლევს მას ნებას მეტჯერ შეიკრიბოს და ამიტომ შუამდგომლობის აღძრა სრულიადაც საჭირო არ არისო. ბოლოს კრებამ დაადგინა — ეთხოვოს ფინანსთა სამინისტროს, რომ ერთის წლით გადადებულ იქმნან არჩევნები თავად-აზნაურთ რწმუნებულთა, რათა ეს არჩევნები გუბერნიის თავად-აზნაურობის კრებაზე მოხდეს 1903 წელს.

შემდეგ კრებას წაეკითხა მოხსენება თავად-აზნაურობის მიერ შარშან არჩეულის კომისიისა თავად-აზნაურობის ქარვასლის შესახებ. კომისიას დაევალა გამოერკვიოს საკითხი ქარვასლის გადაკეთების შესახებ. კომისიაში მიწვეულ იქმნა აკადემიკი სიმონსონი, რომლის გამოანგარიშებით ქარვასლის მხოლოდ კაპიტალური რემონტი დაჯდება 200 ათას მანეთზე მეტი. კომისიამ, სცნო-რა, რომ ჯერ-ჯერობით, სანამ ქარვასლას ბანკის ვალი აძევს, ახალის ვალის აღება მამულს აღარ შეუძლიან, გადასწყვიტა გადიდეს გადაკეთება 9 წლით; იმ დროსთვის კი ქარვასლა თავისუფალი იქნება ვალისაგან და მაშინ შეიძლება ნახევარი მილიონის სესხის აღება და ქარვასლის ხელახლავ აშენება. მანამდის კი კომისია საჭიროდ სთვლის პატარ-პატარა შეკეთებას, რისთვისაც გადადებულ უნდა იქმნას ყოველ წლივ საჭირო თანხა. იმ შემთხვევაში კი, თუ ადმინისტრაცია აკრძალავს თეატრში წარმოდგენების მართვას, კომისია საჭიროდ სთვლის აძლიოს დრამატიულ საზოგადოებას სუბსიდია ყოველ წლივ 2—3 ათასი მანეთის ბინის ზოსაპოვებლად, სანამ თეატრი არ იქნება სრულიად გადაკეთებული. შემდეგ კრებამ მოისმინა ცალკე აზრი კომისიის წევრის თავ. ს. რ. ვახვახიშვილისა. მისის აზრით, გადაკეთების გადადება საზარალოა. დღეს დღეობით თავად-აზნაურობა იხდის 7% იმ ვალში, რომელიც აწევს ქარვისლას; ეხლა კი შეიძლება გადაგირავება ქარვასლისა და აღება სესხის 4½ პროცენტით. თუ თავად-აზნაურობა ეხლავ შეუდგება გადაკეთებას, ქარვასლის შემოსავალი იმატებს; 36 ვლის განმავლობაში (სანამ ბანკის ვალი ექნება) შემოვა 1 მილ. 900 ათასი მან. ხოლო თუ გადაკეთება გადადებული იქნება, მაშინ ამ 9 წლისა და 36 წლის განმავლობაში თავად-აზნაურობას ექნება 1 მილ. 800 ათასი მან., ესე იგი, გადაკეთება 100 ათას მანეთს დაუკარგავს თავად-აზნაურობას.

ცოტაოდენის კამათის შემდეგ კრებამ დაამტკიცა კომისიის უმრავლესობის აზრი.

კრებას მოხსენდა, რომ აკადემიკი სიმონსონი ჯილდოთ თხოულობს კომისიაში მუშაობისათვის 932 მან. ზოგი იმ აზრისა იყო, რომ, რადგანაც ბ. სიმონსონი კომისიაში მიწვეულ იყო, როგორც ტფილისის გუბერნიის აზნაური, მას მადლობა უნდა გამოეცხადოს შრომისათვის, ხოლო ფულისა კი უარი უნდა ეთქვას. ხანგრძლივის კამათის შემდეგ კრებამ დაადგინა დააკმაყოფილოს აკადემიკოსის სიმონსონის თხოვნა.

კრება 2½ საათზე შესწყდა და გადაიდვა დღეისათვის.

## ტფილისის საბჭო

20 მარტს ქალაქის საბჭომ განიხილა რამდენიმე თხოვნა სხვა-და-სხვა საგნის შესახებ. პირველი თხოვნა იყო პანკინისა, რომელსაც 29 თებერვალს სახლი დაეწვა დიდუბეში. ეს თხოვნა წაიკითხა გამგეობის წევრმა ბ. შესტაკოვმა და თან დასძინა ცნობები ამის შესახებ. პანკინი თხოულობდა დარჩენილ დასაფასებელ გადასახადის პატიებას. ბ. შესტაკომა ამისთანა მარტივი საგნის შესახებ ვერ მისცა იმდენად სავსე ცნობები, რომ საბჭოსგა დაეწყვიტა რამე ამ თხოვნის შესახებ. საბჭომ გადასდო ამ საგნის განხილვა მეორე კრებისათვის და მოსთხოვა დამატებითი ცნობები. შემდეგ განიხილეს რამდენიმე თხოვნა შესახებ დასაფასებელი ხარჯის პატიებისა. საბჭომ შეიწყნარა ყველა თხოვნა. შემდეგ ორი-სამი უმნიშვნელო კითხვათა განხილვისა საბჭომ მოისმინა მოხსენება გამგეობის წევრის თ. ჩერქეზიშვილისა შესახებ ფუნიკულიორის გაკეთებისა მთაწმინდაზე. მოხსენებიდან სჩანდა, რომ ქალაქის მოურავი, შემდეგ არზუმანიანის თხოვნისა, შეეკითხა რობის, რას ჰფიქრობ, არ შესცვლი პირობებსაო. რობის უპასუხნია, რომ რადგან ბევრი ხარჯი მომივა მთაზე სხვა-და-სხვა გასამართვისათვის შენობების გაკეთებაზე, მე ვერას მივუმატებ ქალაქის სასარგებლოთო. ამავე მოხსენებიდან აღმოჩნდა, რომ რობის ის ადგილიც გამოუცლია ხელიდან, რომელიც არზუმანიანცს ჰქონია ნაყიდი გაბაშვილისაგან. მაგრამ ყველაზე საყურადღებო იყო ქალაქის მოურავის ცალკე აზრი არზუმიანცის თხოვნის შესახებ. ძალიან დიდი შრომა მიუღია ბ-ნ ქალაქის მზრუნველს იმის დასამტკიცებლად, რომ რობი გამოცდილი კაცია და სანდო ამ გზის გასაკეთებლად, რომ რობი უფრო მეტსა ჰპირდება ქალაქს, ვიდრე არზუმიანცი და სხვა ამისთანებს.

ეს ცალკე აზრი იწყება იმით, რომ ქალაქის ინტერესები აიძულებს მას გამოსთქვას იგი, მაგრამ საზოგადო შთაბეჭდილება ისეთი იქონია ხმოსნებზე, რომ თითქო ამ ცალკე აზრით ბ-ნ რობის ინტერესებს იცავსო. უეჭველია ამ უცნაური ცალკე აზრის მიზეზი ის უნდა იყოს, რომ ბ-ნ ქალაქის მოურავს, ევანგულოვს საქმისათვის ერთის მხრივ შეუხედნია. ამ გვარმა მოხსენებამ თავის აქსესუარებით გამოიწვია, რასაკვირველია, შესაფერი კამათი. ქალაქის მოურავად ყოფილმა თავ. ნ. ე. არღუთინსკი-დოლგორუკოვმა სამართლიანად შენიშნა, რომ მას არ ესმის, რად იცავენ კერძო პირის თხოვნას, როდესაც უსახელო საზოგადოებასთან და ავჭალის ტრამვაის საზოგადოებასთან შეკრულ პირობათა ძალით ყოველი რკინის გზის გაკეთების უფლება ქალაქის საზღვრებში ჯერ ვალია უსახელო საზოგადოებისა, თუ იგი თანახმა იქმნება გააკეთოს გზა წარდგენილ პირობებით. შემდეგ თუ პირველმა უარი სთქვა, — ავჭალის ტრამვაის საზოგადოებისა და თუ უკანასკნელმაც უარი სთქვა, მხოლოდ მაშინ შეიძლება მიეცეს კონცესია სხვა მსურველთ. თავადმა არღუთინსკიმ დაუმტკიცა საბჭოს ისიც, რომ ფუნიკულიორად წოდებული გზა იგივე ტრამვაია და ამის გამო უნდა მოვიქცეთ ისე, როგორც მოითხოვს ჩვენგანვე მიღებული და ხელმოწერილი პირობა. ამ საბუთიან აზრს მიემხრნენ თითქმის ყველანი და დაადგინეს საქმე გადასცენ კომისიას, რომელიც უნდა იქმნას შემდგარი ხმოსან-იურისტთაგან და ტეხნიკოსთაგან.

# დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან").

20 მარტი

**პეტერბურგი.** 19 მარტს მათი უდიდებულესობანი მემკვიდრე ცესარევიჩი და დიდი მთავრები დაესწრნენ მარიინის თეატრში კონცერტს, რომელიც გამართული იყო ინვალიდების სასარგებლოდ.

20 მარტს მისმა უდიდებულესობამ ალექსანდრა თეოდორეს ასულმა ინახულა მიხაილისა და სუხარიოვის სკოლები, რომელნიც ქალთა პატრიოტულ საზოგადოებას ეკუთვნიან.

**ჰელსინგფორსი.** 19 მარტს აქაურ ალექსანდროვის თეატრში გენერალ-გუბერნატორისა და დიდძალი საზოგადოების თანადასწრებით გაიმართა სამხედრო კონცერტი. კონცერტში მონაწილეობას იღებდა ორასამდე დამკვრელი და მომღერალი ჰელსინგფორსის და სვეაბორგის გარნიზონების რუსისა და ფინნელების ჯარებიდამ. შემოსავალი მიეცემათ ფინლიანდიაში მოუსავლობისგან დაზარალებულთ.

**ლონდონი.** გაზ. „ტაიმს“-ს ატყობინებენ 16 მარტს ბუენოს-აირესიდამ: „კვირიდან 200 მილიმეტრი წვიმა მოსულა; ამის მზგავსი აქ არაოდეს არ ყოფილა. ქალაქის ჩრდილოეთი, სამხრეთი და დასავლეთი ნაწილები წყლით არიან დაფარულნი. მიმოსვლა თითქმის შეწყვეტილა. ძალიან შიშობენ, რომ ნათესი სიმინდი არ ივარგებს. პურის ნათესების უდიდესი ნაწილი ძალიან გაფუჭებულია.

**ვაშინგტონი.** როგორც იტყობინებიან, შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგმა უებსტერ დევისმა, სამხრეთ-აფრიკიდამ დაბრუნებისათანავე, სამსახურს თავი დაანება. მან დაიქირავა თეატრი, სადაც მას ჰსურს წაიკითხოს ლექციები, რომლებშიაც იგი გაჰკიცხავს ინგლისელებს, შეაქებს ბურებს და მოითხოვს, რომ შეერთებული შტატები ჩაერიონ საქმეში.

**სტოკჰოლმი.** დღეს გარდაიცვალა მთავარ-მინისტრად ნამყოფი ბარონი გუსტავ აკერგოლმი.

**ქრისტიანია.** გაზ. „ალტონპოსტენ“-მა გამოაქვეყნა შემდეგი დეპეშა, ახალი ზელანდიიდან მოსული 19 მარტს, რომელიც ეხება ბორკგრევინკის ექსპედიციას სამხრეთ პოლიუსისაკენ: ექსპედიციამ დანიშნულ მიზანს მიაღწია, სამხრეთის მაგნიტის პოლიუსის მდებარეობა გამორკვეულია. უშორესი პუნქტი, რომლამდეც ექსპედიციას მიუღწევია მარხილებით, არის 78°,50. ზოოლოგი ნიკოლოზ განსენი მოკვდა. დანარჩენები კარგად არიან. აქამდე 78°,4-ზე შორს არავინ წასულა.

**ჰააგა.** „მემორიალ დიპლომატიქ“-ის მიერ გავრცელებული ხმა, ვითომც ინგლისს პროტესტი უნდა განეცხადებინოს ჰოლლანდიის მართებლობისათვის კარრიკატურებისა და შეურაცხმყოფელ ნაწერების გავრცელების გამო, ოფიციალურად უარყოფილია.

**ლონდონი.** ბუშმანკოპიდან იტყობინებიან: ცხენოსანი ჯარი, ორი არტილლერიის ბატარეია და ამხედრებული ქვეითი ჯარი, რომლებთაც უფროსობდა პოლკოვნიკი პილჩერი, წუხელ უკან უნდა დაბრუნებულიყვნენ, რადგანაც ახლოვდებოდა ბურების დიდი რაზმი. ინგლისის ჯარები მოვიდნენ ბლუმფონტენის წყლის მილთან, მოდდერის სამხრეთით, სადაც დაბანაკდნენ კიდეც დილის 4 საათზე. გათენებისას ბურებმა უკანიდან სროლა დაუწყეს ინგლისლების ბანაკს. ბროდვოდმა გაგზავნა სურსათის ფურგონები და ბატარეია, დანარჩენი ჯარებიკი დაიტოვა, რათა მათის დახმარებით ეს უკუქცევა დაეფარა. ფურგონები მოხვდნენ მდინარის ღრმა კალაპოტში, სადაც ბურები იმალებოდნენ; ამგვარად მთელი რაზმი ექვსი ზარბაზნით ტყვედ ჩაუვარდა ბურებს. მოკლულთა რიცხვი მცირეა, რადგანაც უმრავლესობა ერთი თოფის დაცლამდე ჩაუვარდნენ ხელში ჩასაფრებულ ბურებს. გენ. კოლვილის დივიზია, რომელიც დღეს დილით გამოვიდა ბლუმფონტენიდან, მოვიდა აქ 12 საათზე და ყუმბარები დაუშინა მტერს“.

**სიდნეი.** კიდევ გახდა შავი ჭირით ავად 11, ამათგან ორი მოკვდა.

**პეკინი.** ინგლისელ მისსიონერის ბრუკრის მოკვლისათვის ინგლისმა შემდეგი დაკმაყოფილება მიიღო: ორ დამნაშავეს თავი მოჰკვეთეს, ერთს სამუდამოდ ტუსაღად ყოფნა მიუსაჯეს, ერთს 10 წლით დატუსაღება და ერთსაც ორი წლით. გარდა ამისა, ჩინეთის მართებლობის ხარჯით უნდა აშენდეს სამლოცველო, რომელზედაც დაწერილი იქმნება საქმის გარემოება.

როგორც უკანასკნელი ცნობებიდან სჩანს, საიდუმლო საზოგადოების „დიდი მუშტის“ მიერ გამოწვეული მოძრაობა და არეულობა, თან და თან ცხრება, რადგანაც ზამთრის უსაქმობა მუშაობის ხანის დადგომით შესწყდა.

21 მარტი

**პეტერბურგი.** ვარშავის სასახლის სამმართველოს უფროსის თანაშემწე პოლკოვნიკი მოსოლოვი დანიშნულ იქმნა სასახლის მინისტრის კანცელარიის მმართველის თანამდებობის აღმასრულებლად.

20 მარტს დაიხურა სრულიად რუსეთის ხელოსანთა კრება.

**ლონდონი.** რობერტსი ბლუმფონტენიდან 19 მარტს დეპეშით იუწყება: „ეს არის ეხლა მოვიდა ამბავი, რომ ბურები წავიდნენ ლედი-ბრანდისაკენ; თან ინგლისელი ტყვეები არ წაუყვანიათ; 70 კაცი დატოვებულნი არიან წყლის არხებთან, სადაც ეხლა ვგზავნით სანიტართა რაზმს“.

რობერტსი იტყობინებოდა, რომ მან დაათვალიერა მდინარესთან ის ადგილი, სადაც ბურები იყვნენ ჩასაფრებულები. მას წარმოუდგა თვალ წინ საზარელი სანახავი: მიდამო დაფენილი იყო დახოცილი ცხენებით, მილეწ-მოლეწილი ურმებით და სხვა საომარი სურსათით. აქა-იქ მოჩანდა ადამიანის გვამები. რაზმი მთლად გაწყვეტილი იქნებოდა, რომ ამისთვის ხელი არ შეეშალათ იმ პირთ, რომელნიც იცავდნენ მოსავლელ გზას და რომელნიც განსაცდელის ჟამს არ შედრკნენ. ერთმა ბატარეიამ გაასწრო მტრის ცხარე ტყვიას, რომელსაც მან შემდეგ თვითონაც უპასუხა ტყვიითვე. მტერმა მოკლული დაჰკარგა 5 კაცი და 9 დაჭრილი.

**პრეტორია.** ოფიციალურად. ბურებმა ბლუმფონტენისა და ტაბანგუს შუა შეიპყრეს 6 ზარბაზანი და 200 ფურგონი.

**პრეტორია.** ბრანდფორტის მიდამოებში პარასკევს ხელ-ახლად მოხდა ბრძოლა. დაწვრილებითი ცნობები ბრძოლის შესახებ ჯერ არ მოსულა, მაგრამ, ამის მიუხედავად, კერძო ხმები მოვიდა, რომ მოკავშირეთა ჯარებმა შესამჩნევი ზარალი მისცეს ინგლისის ულანთა ჯარს. ბურების მხრით ძალიან ცოტაა დაჭრილი. შაბათს ბრომფონტენის მხრიდან ხელ-ახლად მოისმა ზარბაზნის ხმა. შემდეგ ამბავი მოვიდა, რომ შაბათს მეფკინგს ახლო მოუხდა ბრძოლა იმ რაზმს, რომელიც მიდიოდა, პოლკოვნიკის პლუმერის წინამძღოლობით ამ ქალაქის განსათავისუფლებლად. რაზმმა ბრძოლაში მეომართა შესამჩნევი რიცხვი დაკარგა და უკან დაიწია.

**ბუშმანკოპი.** ბურებმა გუშინდელი ბრძოლის ველი მხოლოდ დღეს დილით დასტოვეს. როცა დარწმუნდნენ, რომ ინგლისის მეთვალ-ყურე რაზმმა იპოვა ბრძოლის ველზე ყველა მოკლული ინგლისელნი. ბურების ჯარს უფროსობდა რეიხმანი.

**კიმბერლეი.** 400 ბური სდგას ბეტსგონთან, 700—ვიტრანდთან, კიმპდამის ჩრდილოეთით, და 6,000-მდე მდინარე ვაალის ნაპირებზე ფორტინსტრიმსიდან ქრისტიანიამდე.

**ლონდონი.** „რეიტ. სააგ.“ გაუგონია, რომ გზა, რომლითაც უნდა გაიაროს კარრინგტონის ჯარმა, როდეზიაში მიმავალმა, დაახლოვებით არ არის გამორკვეული, თუ ბეჩუანზე არ იქნება აღდგენილი რკინის გზით მიმოსვლა, მაშინ საფიქრებელია, ჯარები გაიგზავნებიან ბეირში რკინის გზის ტოტით ბეირი—უმტალი—სალსბერი. „რეიტ. სააგენ.“ დასძენს, რომ ამის ნებას აძლევს პორტუგალიასთან არსებული ხელშეკრულობაო.

**ბიჩკონში.** გუშინ, ზღვის პირას, ზღვის ავაზაკებმა შეიპყრეს ინგლისის გემი, რომელსაც მოჰ-მული ჰქონდა მეორე გემი, საქონლით დატვირთული. გემის ლოცმანი მოჰკლეს. საქონლით დატვირთული გემი გაძარცვეს და საქონლის ზედამხედველი ტყვედ წაიყვანეს.

**ლონდონი.** პალატა. ბროდრიკი აცხადებს, რომ ინგლისის მთავრობას საფუძველი არა აქვს იფიქროს, ვითომც პორტუგალიის მთავრობა უყურადღებოდ სტოვებდეს რომელსამე მოვალეობას და იგი ნებას არ აძლევს ლორენცო-მარკეზეში კონტრაბანდის მიტანისას.

ტყვე ბურთა წმ. ელენეს კუნძულზე წაყვანის შესახებ იტყობინებიან, რომ ინგლისის მთავრობას ჯეროვანი მსჯელობა ჰქონდა ამაზე, მაგრამ არ სცნო საჭიროდ დაეტოვებინა ეს გეგმა და არ გაეგზავნა ზოგიერთი ტყვეთაგანი წმ. ელენეს კუნძულზე. ფლინნი კითხულობს: მთავრობის მოაზრება დაფუძნებულია იმ აზრზე, რომ წმ. ელენეს კუნძული უფრო საიმედო სიმაგრეა? ბალფური უპასუხებს, რომ ეს ერთის მხრით გამოწვეულია სამხედრო მოსაზრებით.

**პარიზი.** პალატა. მსჯელობა ახალშენთა ჯარების შესახებ. გალიფე, სხვა-და სხვა ორატორთა პასუხში, სხვათა შორის, ამბობს: „ჩვენი ახალშენების ზღვის პირები დაცულია შემოსევისაგან, შიში არ არის, რომ ჩვენს სამფლობელოში ვინმემ შემოდგას ფეხი, მაგრამ შეუძლებელია, რომ ჯარი, რომელიც იცავს ჩვენის ზღვის პირის საზღვრებს, ექვემდებარებოდეს სხვა-და-სხვა უფროსებს. ტერრიტორიის დამცველი ჯარი უნდა ექვემდებარებოდეს სამხედრო სახინისტროს“. მინისტრი თხოულობს, რომ ახალშენთა ჯარები შეუერთონ სამხედრო სამინისტროს.

**ლონდონი.** „დეილ ქრონიკლ“-ს ბლუმფონტენიდან ატყობინებენ დეპეშით 20 მარტს, რომ ინგლისელებმა უკანვე წაართვეს ბურებს ის ზარბაზნები, რომლებიც უკანასკნელთ პოლკოვნიკს ბროდვორდს წაართვეს. ამას წინად ბლუმფონტენს ბურებმა წყალი შეუ-

კრეს და ქალაქი უწყლოდ დასტოვეს.

**ლონდონი.** რობერტსი დეპეშით იტყობინება შემდეგს: „ბურებისაგან ბრიტანელთა სამარი სურსათის წართმევის დროს, პოლკოვნიკმა ბროდვორდმა დაჰკარგა 7 ზარბაზანი და მთელი თავისი ბარგი. იგი ისაკლისებს 350 კაცს, მათ შორის 200 უგზო-უკვლოდ დაკარგულს.

**ლონდონი.** გუშინდელი დეპეშა რობერტისა, ბლუმფონტენიდან გამოგზავნილი, აცნობებს, რომ პოლკოვნიკმა ბროდვორდმა მოახსენა რობერტს,—მტერი ორი რაზმით მოემართება ჩრდილოეთ აღმოსავლეთის ტაბანგუზე და მას, ბროდვორდს, განზრახვა აქვს დაიწიოს წყლის მილისაკენ, რომელიც ბლუმფონტენისაკენ 17 მილის სიახლოვით არის. რობერტსმა უპასუხა, რომ განთიადზე მიაშველებენ მეცხრე დივიზიას. ღამე ბროდვორდმა წყლის მილისკენ დაიწია და იქ დაბანაკდა შაბათს, განთიადისას, ბროდვორდს თავს დაესხნენ სამი მხრიდან. მან გაგზავნა ბატარეია და სურსათის ფურგონები ცხენოსანთა მფარველობით ბლუმფონტენისაკენ. წყლის მილიდან ორის მილის მანძილზედ მდინარის მაღალ ნაპირებთან, მშრალ რიყეზე, გზა ცერად მიდის. ამ ალაგას წინა ღამ ბურები ისე მოხერხებულად ჩამალულიყვნენ, რომ ინგლისელების დამზვერავმა რაზმმა დათვალიერების დროს ვერაფერი შეამჩნია. როცა ფურგონები და ზარბაზნები ჩავიდნენ იმ ადგილას, ჩასაფრებულებმა ასტეხეს სროლა. წინ-მსვლელნი იქავე ჩააწვინეს მტრის ტყვიებმა. დანარჩენებმა საჩქაროდ დასტოვეს საფრთხე ადგილი. შემდეგ მზვერავებმა აღმოაჩინეს, რომ მტერს ფონი არ ეჭირა, რის შემდეგაც ბროდვორდის ცხენოსანი ჯარის გადარჩენილი ნაწილი გადავიდა მდინარის მეორე ნაპირზე და ხელ-ახლად დამწკვრივდა. შეიტყო რა შევიწროება ბროდვორდისა, რობერტსმა უბრძანა ფრენჩს კავალერიის დანარჩენი ორი ბრიგადით მიშველებოდა მეცხრე დივიზიას. ნაშუადღევის 2 საათზედ მეცხრე დივიზია მივიდა ბრძოლის ველზედ. მტრის ჯართა რიცხვი 8000—10000 კაცამდეა. რამდენი ზარბაზანი აქვთ, არ იციან.

**რომი.** პალატამ, მიიღო რა წინა კრებების ოქმი, აარჩია კოლომბო პრეზიდენტად 265 ხმით; ზანკერმა მიიღო 158 ხმა.

დრ. რედ. **ალ. ჭყონია**

# გამოსადეგი ცნობანი

**საკალენდრო ცნობები**

**ოთხშაბათი, 22 მარტი;** ახალი სტილით 3 აპრილი. წლის დასრულებამდე დარჩა 282 დღე. მთვარის მე-5 დღე. დიდი მარხვის ოც-და-მეთერტმეტე დღე. ხსენება წმ. მოწამისა ვასილ მღვდელისა და ისააკისა.

**ხუთშაბათი. 23 მარტი;** ახალი სტილით 4 აპრილი წლის დასრულებამდე დარჩა 283 დღე. მთვარის მე-6 დღე. დიდი მარხვისა. ოც-და-მეთორმეტე დღე. ხსენება წმ. მოწ. ნიკონისა და 199 მოწაფეთა, ფილიპესი ლიდისა.

შემდეგი უქმი—25 მარტს—ხარება.

**ნ ი ხ რ ი**

| | | | |
|---|---|---|---|
| ხორცი ძროხისა | 1 | გ. | —10 კ. |
| სუკი . . . . | 1 | » | —15 კ. |
| » ცხვრისა . | » | » | —11 კ. |
| » კამეჩისა. . | » | » | — 5 კ. |
| » ღორისა. . | » | » | — 8 კ. |
| » ღორის ბარკალი სალორეთი . | 1 | » | —10 კ. |

(ძროხისა და ცხვრის ხორცს იის ფერი ბეჭედი აძევს, კამეჩს—მწვანე, ღორს—დამღა).

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პური ფურნისა | I | ხარ. | 1 | გ. | 5 კ. |
| » » | II | » | » | » | $3^1/_2$ » |
| » » | III | » | » | » | 3 » |
| იგივე თორნისა | I | » | » | » | 5 » |
| » » | II | » | » | » | 4 » |
| » » | III | » | » | » | $3^1/_2$ » |
| ლავაში ჯვ. მამ. | I | » | » | » | 6 » |
| » » | II | » | » | » | 4 » |

**ტფილისის ბაზრები:**

| გაიყიდა მეიდნებზე: | | კოკზალზე, | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ხორბალი საკგ. | ფუთი. | მ. | კ. | მ. | კ., |
| | 1 | 1 | 30 | 1 | 20 |
| ხორ. წითელი. . . | 1 | 1 | 15 | — | |
| ქერი . . . . . | 1 | — | 88 | — | 85 |
| სიმინდი . . . . | 1 | — | 70 | — | — |
| ფქვილი სოფლისა. | 1 | 1 | 20 | — | — |
| » უფრო მდარე. | 1 | 1 | 10 | — | — |
| კომბოსტო. . . . | 1 | — | 60 | — | — |
| კარტოფილი. . . . | 1 | — | 60 | — | — |
| ხახვი . . . . . | 1 | — | 50 | — | — |
| თივა . . . . . | 1 | — | 60 | — | — |
| ბზე . . . . . | 1 | — | 28 | — | — |

შუშა რცხილისა 1 სრული საჟ. საწყობეში 38 მ., შეშა ნარევი 36 მ. ცხვარი თუშისა 3 მ. 50 კ.-დან 5-მდე, ცხვარი თათრული 3 მ. 80 კაპეიკიდან 4 მ. 60 კ.-მდე, ღორი ადგილობრივი ჯიშისა 8.-დამ 8 მ. 50 კ.-მდე, ძროხა და ხარი აქაური საკლავი 30 მ.-დან 45 მ.-მდე, ხარი მესაბმელი,—კამეჩი—მ. -მდე, კამეჩი საკლავი 26 მ.-დამ 34 მან., მესაბმელი— მ.

**რუსეთის ბაზრები:**

ფქვილი როსტოვში.

| ხარისხი. | | ხარისხი. | |
|---|---|---|---|
| № 0—9 | მ. 25 კ. | № 4—7 | » 25 » |
| № 1—8 | » 50 » | № 5—7 | » — » |
| № 2—8 | » — » | № 6—6 | » 75 » |
| № 3—7 | » 50 » | № 7—6 | » 25 » |

სიმინდი (ნოვოროსსიაში) 1 ფ. 54 კ. 41 კ. ქერი როსტოვში 66 კ. 62 კ.-მდე ნოვოროსსიაში 68 კ. 69 კაპიკამდე.

მოტანა ტფილისამდე 1 ფ. 87 კ. შაქარი იქვე ფუთი 5 მან. 70 კ. „ფშხვნილი „ 4 „ 80 „ მატული ისპანიური, თეთრი ფ. 10 მ.—11 მ. 85 კ., მატული 10% შავ-ნარევი — ადგილობრივი—3 მ. 50 კ.—4 მ. 10 კ., გარეცხილი 8 მ. 3. კ. ისპანიის ჯიშის ცხვრის ტყავი თითო 2 მ. 60 კ.-მდე.

**საავადმყოფოები**

**ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო,** მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მ. თვ. ცალკე ოთახში—60 მ. თვ.

**ქალაქის სამკურნალო.** მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ. ღარიბთათვის რჩევაც და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხნოვი.

**ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი: ავლაბრისა,** კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

**ქუკიისა,** ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

**ხარფუხისა,** გორონცოვის ქუჩა, სახლი იედიაროვისა. ექიმი ტერასტუროვი.

**თვალების სამკურნალო,** ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

**ქალაქის საავადმყოფო სულით-ავადმყოფთათვის.** უფასო—იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ციზენგაუზენისა და ეკუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში ღირს 12 მან. ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) გორონცოვის ქუჩა, მექქვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

**მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა.**

**სახალხო მატარებელი № 1** ბაქოდან ტფილისში გამოდის 4 ს. 15 წ. დღ.; ტფილისში მოდის 8 ს. 40 წ. დილ.; ტფილისიდან ბათუმში გადის 9 ს. 10 წ. დილ. ბათუმში მიდის 8 ს. 32 წ. საღ.

საფოსტო მატარებელი № 3 ბაქოდან ტფილისში გამოდის ღამის 12 ს. 20 წ., ტფილისში მოდის საღამოს 6 ს. 28 წ.; ტფილისიდან ბათუმში გადის საღამ. 7 ს. 32 წუთ., ბათუმში მიდის დილის 8 ს. 12 წ.

**სახალხო მატარებელი № 2** ბათუმიდან ტფილისში გამოდის 9 ს. 15 წუთ. დილ., ტფილისში მოდის საღამოს 8 ს. 35 წ.; ტფილისიდან ბაქოში გადის საღ. 9 ს. 23 წ., ბაქოში მიდის 1 ს. 04 წ. დღის.

**საფოსტო მატარებელი № 4** ბათუმიდან თბილისში გამოდის 9 ს. 05 წ. საღ., თბილისში მოდის 9. 45 წ. დილით.; თბილისიდან ბაქოში გადის დილის 11 ს. 32 წ., ბაქოში მიდის დილის 6 ს. 15 წ.

მატარებელი № 5 ტფილისიდან ბორჯომში გადის დილით 3 ს. 25 წ., ბორჯომში მიდის 8 ს. 23 წ. საღ.

მატარებელი № 6 ბორჯომიდან ტფილისში გამოდის 8 ს. 20 წ. დილ., თბილისში მოდის დღისით 12 ს. 55 წ.

სამტრედიიდან ფოთში სამი სახალხო მატარებელი გადის დღეში: პირველი—ღამის 5 ს. 02 წ., მეორე—დღის 12 ს. 40 წ., მესამე—საღამოს 7 საათ. 30 წ., ფოთში მოდის—პირველი 7 საათ. 12 წ. დილით, მეორე—2 ს. 49 წ. დღ. და მესამე ს 94—ეომ9 წ. საღ.

ფოთიდან მსატრედიაში გადის სამი მატარებელი: პირველი—ღამის 1 ს. 11 წ., მეორე—დილის 6 ს. 20 წ., მესამე—საღ. 9 ს. 48 წ.; სამტრედიაში მიდის პირველი 3 ს. 20 წ. ღამის, მეორე—8 ს. 42 წ. დილის, მესამე—ღამის 11 ს. 57 წ.

ფოთიდან რიონში გადის დილის 6 ს. 20 წ., რიონში ფოთიდან მიდის დილის 6 ს. 45 წ.

**რიონიდგან** ქუთაისში გადის შვიდი მატარებელი: ღამის 3 ს. 55 წ., და 5 ს. 30 წ. დღის 1 ს. 30 და 4 ს. 50 წ., საღამოს 6 ს. 30 წ. დილის 8 ს. 45 წ. და 10 საათ.

**ქუთაისიდგან** რიონში მიდის ღამის 12 ს. 55 წ., და 4 ს. 40 წ. დღისით 12 30 წ., 3 ს. 50 წ., და 5 ს. 30 წ.,

**შორაპნიდან** ჭიათურაში გადის დღეში ორი სახალხო საქონლის მატარებელი. პირველი გადის დილის 6 ს. 50 წ., მეორე 5 ს. 15 წ. დღისით.

**ჭიათურაში** მიდის პირველი—დილის 9 ს. 42 წ. მეორე—საღამოს 8 ს. 07 წ.,

**ჭიათურიდგან** შორაპანში გადის ორი მატარებელი: პირველი 1 სე 40 წ. დღისა, მეორე—საღამოს 11 ს. 15 წ. შორაპანში მიდის—პირველი დღისით 4 ს. 31 წ. მეორეღამის—2 ს. 05 წ.

გამომც. გ. გუნია

Дозволено цензурою. Тифлисъ, 21 Марта, 1900 г. სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—ს. განქის დიდი ქუჩა, № 27.